

ნომერშია:

▼ ბიორეგულაციური თერაპია – ნანოტექნოლოგია მედიცინაში?

▼ ვისჯავლოთ ფიქრი ... მუცლით

▼ ანთემა: მტერი თუ მოყვარე?

▼ ტვინი ნაწლავში და საჭმლის მოწეღების დარღვევები




უკანასკნელი სამეცნიერო კვლევები მიგვანიშნებს, როგორ მოქმედებს და სად მდებარეობს ინტუიცია. აღმოჩნდა, რომ სერიოზული და დაჟინებული შესწავლის საგანი – „ენტერული ტვინი“ (ნაწლავის ტვინი) ჩამოყალიბებული ნერვული უჯრედების როღენობის მხრივ მხოლოდ თავის ტვინს ჩამორჩება, ზურგის ტვინს კი, რომელიც მრავალრიცხოვან რეფლექსებს აკონტროლებს, ბევრად აღემატება. აღნიშნული „ნაწლავის ტვინის“ 100 მილიონი ნერვული უჯრედი მნიშვნელოვანი ხარისხით აკონტროლებს ჩვენს გუნება-განწყობას, ასევე, გარემოს საპასუხოდ განვითარებულ შეგრძნებებსა და რეაქციას. „ბედნიერების ჰორმონი“ სეროტონინი, როგორც გაირკვა,

ბიორეგულაციური თერაპია – ნანოტექნოლოგია მედიცინაში?

ღღისათვის ძალიან პოპულარული თემა სამედიცინო ნანოტექნოლოგიები. თანამედროვე მეცნიერებისა და პრაქტიკისაგან ელიან ახალ აღმოჩენებს, რაც მოსახლეობის ცხოვრების ხარისხისა და ჯანმრთელობის დაგროვილ პრობლემათა გადაწყვეტის საშუალებას შექმნის.

ნანოტექნოლოგიებში იგულისხმება ავადმყოფის ან ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც არა უჯრედის, არამედ თვით ატომებისა და მოლეკულების დონეზე ხდება. მიკროზემოქმედება, რომელზეც ვსაუბრობთ, მოქნილი, მიზანმიმართული და გონივრული უნდა იყოს, დაავადებას ებრძოდეს, თუმცა სხვა, ნორმალური უჯრედები არ უნდა დააზიანოს, ყველა სისტემისა თუ ორგანოს მუშაობას ჰარმონიულად უნდა შეერწყას და მასში საჭიროების გარეშე არ ჩაერიოს, ამასთან, მაღალკვალიფიციურად მოახდინოს გაუარესებისაკენ მიმართული უკვე არსებული ან სავარაუდო ცვლილებების კორექცია. ასეთი ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე საჭიროა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველაზე თანამედროვე მეთოდების შექმნა. თუმცა, სამეცნიერო მონაცემები და დაგროვილი გამოცდილება უფლებას გვაძლევს, ვისაუბროთ, რომ დიდი ხანია, სხვადასხვა



დონეზე დამზოგავი, მიკროზემოქმედებაზე დაფუძნებული, ორგანიზმისადმი ერთიანი მიღგომის მქონე მსგავსი სისტემები უკვე არსებობს. საუბარია ბიორეგულაციური მედიცინისა და მისი ნაწილის – ჰომოტოქსიკოლოგიის შესახებ, რომელიც გერმანელმა ექიმმა და მეცნიერმა ჰანს-ჰაინრიჰ რეკევეგმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში შექმნა. ეს მიმართულება დღემდე იზიდავს ათასობით ექიმსა და პაციენტს, რომელთაც არსებული პრობლემების გადაწყვეტა დამზოგველი მეთოდებით სურთ. ცხოვრების ჯანმრთელ წესთან და სწორ კვებასთან ერთად, ჰომოტოქსიკოლოგიას შეუძ-

ლია არა მხოლოდ არსებული დაავადების სიმპტომები დათრგუნოს, ანდა დაავადება მწვავე ფორმიდან ქრონიკულ, ლატენტურ ფაზაში გადაიყვანოს, არამედ ნამდვილად განკურნოს.

გაზეთის ამ ნომრიდან შეიტყობთ, თუ როგორ შეიძლება ანთება ჯანმრთელობის სამსახურში ჩავაყენოთ. თანამედროვე მეცნიერებაში დაამტკიცა, რომ ბიორეგულაციურ პრეპარატებს (მაგალითად, Traumeel S) ანთების კორექცია შეუძლია, თუმცა კი არ თრგუნავს, არამედ მის დაღებით ეფექტებს იყენებს, ახდენს პროცესის ნაზ კორექციას და სრულ განკურნებად მიჰყავს.

ვისჯავლოთ ფიქრი

... მუცლით

თავის ტვინში მოქმედების დაწყებამდე ორგანიზმზე „ენტერული ტვინის“ საშუალებით მოქმედებს. ძალიან ხშირად, სწორედ მისი რეაქცია განსაზღვრავს ჩვენს ქცევას მანამდე, ვიდრე თავის ტვინი სიტუაციას გააცნობიერებს და გააანალიზებს. როგორც კი საფრთხეს ვიგრძნობთ, მის სრულ გაცნობიერებამდე უკვე ვიცით, როგორ უნდა მოვიქცეთ. ეს ხომ წინასწარჭვრეტის ხელოვნებაა, რომელიც ცნობიერებას მილიწამებით უსწრებს, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ამ ფენომენს ინტუიცია ვუწოდოთ. როგორც ჩანს, მისი „საცხოვრებელი“ ადგილი „ენტერული ტვინია“, რომელიც ჩვენს ორგანიზმს სრულიად სხვადასხვა სტრუქტურაზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს. მედიცინის თვალსაზრისით, ასეთმა ცოდნამ ბევრი

რამ შეიძლება მოგვეცეს. მაგალითად, იგი ნაწლავის მუშაობის სხვადასხვა დარღვევის მიმართ დამოკიდებულებას გვიცვლის. ეს ხომ მხოლოდ სიმპტომი არაა, რომელიც სწრაფად უნდა დათრგუნოთ და კარგი ზოგადი მდგომარეობაც დავიბრუნოთ. ესაა ორგანიზმის სიღრმიდან მომდინარე სივანალი, კიდევ ერთი მაღალგანვითარებული ნერვული სტრუქტურის მითითება სხეულში ან სულში არსებული რაიმე დარღვევის შესახებ. მხოლოდ მათ შორის არსებული ურთიერთქმედების ჰარმონიზაციას შეუძლია ნამდვილი ჯანმრთელობის დაბრუნება. ტაბლეტები – ეს მხოლოდ ინსტრუმენტია.



ანთება: მტერი თუ მოყვარე?

ერთი შეხედვით, საეჭვო არაფერია – ეს დაავადების გამოვლინებაა. დაავადება კი შეუძლებელია, ორგანიზმისათვის სასიკეთო იყოს. სინამდვილეში, პასუხი ამ კითხვაზე არცთუ მარტივია. გასული საუკუნის მკურნალთა გამოცდილება იმუნოლოგიის სფეროს სრულიად თანამედროვე მეთოდებით მტკიცდება: ანთება ორგანიზმისათვის, როგორც წესი, ნამდვილად სარგებლობის მომტანია.

მკაცრად რომ ვთქვათ, ანთება არა დაავადება, არამედ სიმპტომთა კომპლექსია. ყველა, ვინც კი ოდესმე გრიპით ან ართრიტით ყოფილა ავად, იცნობს ანთების ნიშნებს, – ტკივილს, შეშუპებას, ტემპერატურის მომატებასა და დაზიანებული ორგანოს ფუნქციების შეზღუდვას. სწორედ ამიტომ, ამ არცთუ მარტივი პროცესის უბრალო დათრგუნვა ჩვეულებრივი საშუალებების დახმარებით (ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები, რომელთაც აცეტილსალიცილის მჟავა, დიკლოფენაკი, იბუპროფენი, პარაცეტამოლი და სხვ. მიეკუთვნება), საკმაოდ სადავო მკურნალობაა.

ჯერ კიდევ ძველი დროის ექიმებმა იცოდნენ, რომ ანთებას შემდგომი შვება მოსდევს. „მომეცით ანთების გამოწვევის ძალა და მე ნებისმიერ დაავადებას განვკურნავ“, – ამბობდა ძველი ეპოქის ყველაზე ცნობილი ექიმი ჰიპოკრატე. მან შენიშნა, რომ დაავადების მწვავე ფაზის გადატანის შემდეგ პაციენტების გამოჯანმრთელება ძალიან სწრაფად ხდებოდა. ჰიპოკრატემ არაფერი იცოდა იმუნური სისტემასა და მისი მუშაობის მექანიზმებზე, თუმცა ამ მწვავე პროცესის შესახებ სრულიად სწორი დასკვნები გამოიტანა.

მსგავს შეხედულებებს იზიარებდნენ შემდგომი პერიოდის ექიმებიც. პარაცელსუსი, შუა საუკუნეების უდიდესი ექიმი, ცხელებას „ბუნებრივ მკურნალთა“ რიგებს აკუთვნებდა.

ამ ფენომენის შესწავლაში მნიშვნელოვანი რო-

ლი პომოტოქსიკოლოგიამ შეასრულა. დოქტორი რეკვევი თავის შრომებში წერდა, რომ „ავადმყოფობა იწვის ანთების ცეცხლში“. საკუთარი თეორიის ძირითადი პოსტულატებიდან გამომდინარე, ის სწორად უთითებდა, რომ ანთება, როგორც უზომოდ ძლიერი პროცესი ორგანიზმში დაგროვილი ტოქსინების (ნებისმიერი დაავადების გამომწვევი მიზეზი) მობილიზების, გადაშუშვებისა და ორგანიზმიდან მათი უვნებლად გამოტანის საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომა რეკვევს მრავალი დაავადების სამკურნალო ეფექტური პრეპარატის შექმნაში დაეხმარა.

ანთებისადმი თანაიმდროვე მიდგომა

იმუნოლოგიის დარგში ჩატარებული ბოლო წლების უახლესი კვლევების შედეგები ანთებითი პროცესების დეტალური ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. ორგანიზმის ასეთი რეაქცია გაზრდილ იმუნურ პასუსს გულისხმობს. ინფექციის გამომწვევი მიზეზის არსებობის დროს ანთება, უპირველესად, მისდამი მიმართულ იმუნიტეტს ზრდის. ხანგრძლივი ანთებისას წამყვან როლს იმუნური სისტემა ასრულებს. დაცვითი სისტემების სტიმულაციის ხარჯზე მწვავე ანთებები (განსაკუთრებით) მიკრობიოლოგიური ფაქტორებით განპირობებული) რამდენიმე დღე-ღამის ან კვირის განმავლობაში გადის. თუკი გამომწვევი აგენტის გამოყოფა და ნეიტრალიზება არ მოხდება ან იმუნური სისტემა საკუთარი ორგანიზმის საწინააღმდეგო მოქმედებას დაიწყებს, ქრონიკული ანთება ვითარდება. ალერგია და აუტოიმუნური დაავადებები შეიძლება განვიხილოთ, როგორც არასწორი გზით წარმართული იმუნური რეაქციები.

ანთებითი რეაქციის სახე და სიმძიმე ტოქსიკური ფაქტორით, ასევე პათოლოგიური ზემოქმედებისადმი დაზიანებული ქსოვილის წინააღმდეგობის ხარისხით განისაზღვრება. თუ წინააღმდეგობის ხარისხი საკმარისია, ანთებითი რეაქცია საერთოდ არ განვითარდება. დაავადებისადმი მზაობის არსებობის, ე.ი. წინააღმდეგობის უნარიანობის დაქვეითების დროს ანთება ვითარდება. მისი მიზეზები შესაძლოა იყოს პაციენტის ასაკი, მეტაბოლური დარღვევები, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ეკოლოგიური ფაქტორები, ავთვისებიანი სიმსივნეები, ჰიპოდინამია, არასწორი კვება, სტრესი და სხვ. ნორმალური იმუნური სტატუსის დროს ანთებითი პროცესი სწრაფად იკურნება. თუ სამეცნიერო წვრილმანებს არ ჩავუღრმავებთ, შეიძლება ითქვას, რომ ანთებაში ერთიანად ჩართულია იმუნიტეტის ყველა კომპონენტი – ლიმფოციტები, ლეიკოციტები და მათ მიერ პროდუცირებული განსაკუთრებული ნივთიერებები – ციტოკინები, რომელთაც ინფორმაცია ორგანიზმის უჯრედებსა და სისტემებს შორის გადააქვს. მათზე სწორად განხორციელებული ზემოქმედება ანთების განკურნების გასაღებია. აღნიშნული სისტემის დათრგუნვა საწყის პრობლემას ინარჩუნებს, რაც მოგვიანებით სხვა ადგილას და სხვა ფორმით გამოვლინდება.

არჩევანის პრობლემა

რაიმე უჩვეულოსთან შეხვედრისას ჩვენი ორგანიზმი და მისი იმუნური სისტემა უცხო თავდასხმისაგან დაცვის მეთოდებს დამოუკიდებლად ირჩევს. მაგალითისათვის განვიხილოთ სახსრების ტკივილი. ჩვენს ორგანიზმში არსებობს განსაკუთრებული ნივთიერება – არაქიდონის მჟავა, რომელიც ორგანიზმ-

გავრძელება მე-3 გვერდზე

Traumeel S

ანთების ეფექტური მოდულატორი



ყველაზე ცნობილი ბიორეგულაციური პრეპარატია Traumeel S, რომელიც ანთების პროცესზე საჭირო ზემოქმედებას ახდენს. ემის შემადგენლობაში შედის მცენარეული და მინერალური წარმოშობის 14 კომპონენტი, რომელთაგან თითოეულს განკურნებაში თავისი წვლილი შეაქვს. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ექინაცეას ექსტრაქტი) უშუალოდ ინფექციის გამომწვევს ებრძვის, სხვა კომპონენტები კი (მთის არნიკა ან აკონიტი) სისხლძარღვთა მდგომარეობას აუმჯობესებს. ისეთი კარგად ცნობილი მცენარეების ექსტრაქტები, როგორცაა გვირილა ან კრაზანა, მწვავე ტკივილს ხსნის. ყველა ერთად კი ორგანიზმის იმუნური სისტემის მუშაობაზე მოქმედებს. Traumeel S-ის

მოქმედებით ხდება ჩვენს დამცველ, ანთების მარეგულირებელ ლიმფოციტებს შორის წონასწორობის მიღწევა, ამასთან, ალერგიული რეაქციები ან სხვა გვერდითი მოქმედებებიც არ ვითარდება. პრეპარატის მიღება შეიძლება ანთებასთან დაკავშირებულ დაავადებათა ფართო სპექტრის დროს – ტრავმებიდან და სახსრების მწვავე ტკივილებიდან კანის ანთებით გამოვლინებამდე. ნებისმიერ შემთხვევაში ეს მოქმედება ჯანმრთელობის აღდგენის გზაზე შეუცვლელი ნაბიჯია.

Traumeel S ერთ-ერთი ყველაზე მეტად შესწავლილი თანამედროვე ბიორეგულაციური პრეპარატია. ექიმებისათვის კარგადაა ცნობილი მისი მოქმედების მექანიზმები და მიღების თავ-

ისებურებებიც. კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ Traumeel S თავისი ეფექტურობით ანთების საწინააღმდეგო ჩვეულებრივ საშუალებებს (მაგალითად, დიკლოფენაკს) არ ჩამორჩება, უსაფრთხოების დონით კი მათ აღემატება. ამასთან, დადასტურებულია, რომ ტკივილის განკურნება ეპიკონდილიტის დროს Traumeel S-ის დახმარებით, დიკლოფენაკთან შედარებით, 4 დღით ადრე აღინიშნება. ამგვარად, ეს პრეპარატი არა მარტო სასურველ განკურნებას უზრუნველყოფს, არამედ ამას მაქსიმალურად სწრაფად აკეთებს. ტკივილით განაწამებ პაციენტს კი რა სჭირდება იმაზე მეტად, ვიდრე სწრაფი და საფუძვლიანი განკურნება?

ტვინი ნაწლავში და საჭმლის მონელების დარღვევები

სულიერ მდგომარეობასა და საჭმლის მონელებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე ჯერ კიდევ ძველი ეპოქის ექიმები მიანიშნებდნენ, მაგრამ ამ ფენომენს მეცნიერება მხოლოდ ამჟამად ადასტურებს. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია „ენტერული ტვინის“ – 100 მილიონი ნერვული უჯრედისაგან შექმნილი ურთულესი ქსელის მუშაობის ახალ მონაცემებთან.

პრაქტიკულად, ყველასათვის ცნობილია, რომ სტრესი, დარდი და დაძაბულობა საჭმლის მონელებელი ტრაქტის მუშაობაზე აისახება. გამოცდის წინ დიარეის განვითარება, ჩხუბის ან კონფლიქტის შემდეგ სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, სტომატოლოგთან ვიზიტის წინ მუცლის არასასიამოვნო ყურყური. საიდან უნდა იცოდეს მუცელმა, თავში რა ხდება? ეგრეთ წოდებული, ენტერული ნერვული სისტემა, რომელიც საყლაპავსა და ნაწლავს შორისაა განლაგებული, 100 მილიონი ნერვული უჯრედისაგან შედგება. მიაქციეთ ყურადღება: ამ სისტემაში, ზურვის ტვინთან შედარებით, უფრო მეტი უჯრედაა. ადამიანის ორგანიზმში, თავის ტვინის შემდეგ, ნერვების ეს დაგროვება სირთულით მეორე ადგილზე დგას. ბიოლოგიური თვალთახედვით, მათ უჯრედებს შორის განსხვავება არ არსებობს.

თავის ტვინისა და გულის ურთიერთობა

ჩვენი ტვინი, მისთვის დამახასიათებელი გრძობებით, ემოციებითა და აზრებით, „ენტერულ ტვინთან“ მუდმივ კავშირშია. კომუნიკაციის ამ პროცესმა მიიღო სახელწოდება – „ტვინი-ნაწლავის ლერძი“. ნერვული უჯრედების ურთიერთობის საშუალებაა ნეიროტრანსმიტერები.

ამასთან, ყველაზე დიდ როლს ასრულებს სეროტონინი, რომელიც, უფრო მეტად, „ბედნიერების ჰორმონად“ ცნობილი. მისი 97% ნაწლავის ლორწოვანი გარსის განსაკუთრებულ უჯრედებში წარმოიქმნება. თავის ტვინში ის განწყობასა და მადას, „ენტერულ ტვინში“ კი ტკივილის აღქმასა და ნაწლავის მოტორიკას არეგულირებს. მასზე მოქმედებს თავის ტვინში წარმოქმნილი ნებისმიერი ნეიროტრანსმიტერი, რომელთა საშუალებითაც ურთიერთობა ხორციელდება. წარმოიდგინეთ, რომ ყოველი ცხოვრებისეული მოვლენა, რომელიც ნაწლავისა და მისი ნერვული სისტემის მიერ გარკვეული ფორმით აღიქმება, მასში გროვდება, იმავდროულად კი ტვინის მიერ ფასდება. შედეგად, ორგანიზმი მიმდინარე მოვლენებზე გაუცნობიერებლად რეაგირებს, ხშირად მანამდეც კი, ვიდრე მომხდარის გააზრებას შეუძლებთ. ძველ დროში შემთხვევით არ ფიქრობდნენ, რომ ინტუიცია მუცელში იბადება. ინტუიცია ყველას აქვს, მხოლოდ ყველას არ შეუძლია, მას ყური მიუგდოს. თუკი ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ და მხოლოდ „თავით“ იღებთ, ვერ დაგეთანხმებით. ინტუიციური მიდგომა „ენტერული ტვინის“ მოქმედებასა და თავის ტვინის ყველაზე ძველი უბნების მსგავსად, მის მუშაობას ვერ აღვიკვამთ. „ენტერული ტვინი“, ევოლუციის ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ ინტელექტთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფად და ზუსტად მოქმედებს.

გულის უიზიუო ტივილი

ჩვეულებრივ პირობებში, ყურადღებას არ ვაქცევთ, თუ როგორ მუშაობს ნაწლავი. ეს არცაა საჭირო, ვიდრე ყველაფერი ნორმალურადაა. ყველაფერი იცვლება, როდესაც არასასიამოვნო და შემამოფრთხილებელი სიმპტომები – შებერილობა, დიარეა, ყაბზობა, კუჭში სიმძიმის შეგრძნება ან სპაზმები ჩნდება. დღეისათვის გარკვეულია, რომ სტრესს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაზე ზემოქმედება შეუძლია. სპეციალიზებული გასტროენტეროლოგიური ცენტრების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის მიზეზით მისულ ავადმყოფთა თითქმის 60%-ში დაავადება

ფსიქიკური მიზეზებით, უპირველესად კი, სტრესითაა გამოწვეული. მათ შორის კი, რომელთაც ამ დაავადების ორგანული მიზეზები აღენიშნებოდა, ჩივილებს ავადმყოფთა მხოლოდ 25% გამოთქვამდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საჭმლის მონელებელი ტრაქტის ქრონიკული ფუნქციური დარღვევების მქონე ავადმყოფთა 90%-ს შესაძლოა, ფსიქიკური დარღვევებიც ჰქონდეს. უპირველესად კი, ესაა განგაში და შიშები (ფობიები), ასევე დეპრესია, რომელიც საკუთარი ემოციების ღიად და პირდაპირ გამოხატვის უუნარობითაა განპირობებული. განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი პრობლემები ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, ორჯერ უფრო ხშირია. ამაში ქალის ორგანიზმის რეგულარული ჰორმონული ცვლილებებია დამნაშავე. მაგრამ სუსტი სქესის წილად მათთან ურთიერთობისა ჩადენილი ძალადობის (ფიზიკური ან ფსიქიკური) აქტების უფრო მეტი რაოდენობაც მოდის.

კუჭი და ღვიძლი

გასტროენტეროლოგიის სპეციალისტთა შორის არიან ისეთები, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი სულის მდგომარეობისა და ფსიქოსომატური დაავადებების განვითარებისათვის (რომელთაც საფუძვლად როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური დარღვევები უდევს) „ენტერული ტვინი“ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს – ნაწლავში ნეიროტრანსმიტერებისა და მათი აღმქმელი რეცეპტორების კონცენტრაცია, თავის ტვინთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალია. აქედან სრულიად პარადოქსული დასკვნა გამოდინარეობს. მრავალთავის ასე კარგად ნაცნობი დეპრესია შესაძლოა ბევრად უფრო დიდი ხარისხით ნაწლავს უკავშირდებოდეს და



ანთება: მტერი თუ მოყვარე?

დასაწყისი მე-2 კვირდზე

ში ცხოველური წარმოშობის საკვების მიღებისას ხდება. განსაზღვრული პირობებისა და სხვადასხვა ფერმენტის (ციკლოოქსიგენაზები და ლიპოოქსიგენაზები) ზემოქმედების დროს აღნიშნული მჟავა იშლება და წარმოქმნის პროსტაგლანდინებსა და ლეიკოტრინებს. ეს უკანასკნელი ნივთიერებები იწვევს ანთებას, ტკივილსა და ყველა იმ სიმპტომს, რომელთაც რემატიზმით დაავადებულები უჩივიან. თანამედროვე მიდგომა გულისხმობს ანთების საწინააღმდეგო საშუალებების (აცეტილსალიცილის მჟავადან ყველაზე სელექტიურ თანამედროვე ფორმულაზე) დანიშნებას, რომლებიც ციკლოოქსიგენაზების მოქმედების ბლოკირებას იწვევს. თუმცა, ამ დროს ივიწყებენ, რომ ანთების განვითარების მეორე გზა ღია რჩება. სწორედ ამით აისხნება, რომ აღნიშნული წამლების ხანგრძლივი მიღებისას ავადმყოფებში რეგულარულად ვითარდება სისხლდენები კუჭიდან ან, ეგრეთ წოდებული, „ასპირინული ასთმა“. სწორი სამკურნალო მიდგომა ორივე პათოლოგიური პროცესის შეჩერებისკენ უნდა იყოს მიმართული.

იმავე არჩევანის წინაშე დგება ინფექციის გამოწვევზე მოქმედი იმუნური სისტემა. ეს გამოიხატება ორგანიზმში ლიმფოციტების (განსაკუთრებული იმუნური უჯრედები, რომლებიც ნებისმიერი გარემო

ზემოქმედებისაგან გვიცავს) ორიდან ერთი ტიპის მატებით. თუმცა, Th1- ან Th2-ლიმფოციტების მხარეს წონასწორობის გადახრა იწვევს ანთების ამა თუ იმ ტიპის განვითარებას – ეს ან მწვავე ანთება იქნება ყველა დამახასიათებელი ნიშნით, ან ალერგიული რეაქცია, ნამდვილი მკურნალობა კი არ ტარდება.

მიკროლოზები მაკროოქსიდებით

ბიორეგულაციური მედიცინა, მიკროლოზების დახმარებით, იმუნიტეტის დამზოგველ რეგულაციას უზრუნველყოფს. ეს ბოლო ათწლეულების სამეცნიერო კვლევებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება. ადრე არავინ საუბრობდა ასეთი ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ახლა მეცნიერები ზუსტად აღწერენ, როგორ შეიძლება იმუნიტეტზე ნივთიერებათა სწორედ მინიმალური დოზებით ზემოქმედების მოხდენა. მცენარეული წარმოშობის საშუალებების მიკროლოზები საკმარისია, რომ იმუნურმა სისტემამ დაიწყოს განსაკუთრებული შუამავალი ნივთიერებების – ციტოკინების პროდუქცია, რომლებიც დაავადების შესახებ ინფორმაციას ორგანიზმის სხვა უჯრედებსა და ქსოვილებს დაუფოვნებლივ გადასცემს. მაგალითად, ის აქვეითებს პროანთებითი ციტოკინების რაოდენობას და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების გამოუმუშავებას ზრდის. იმა-

ვდროულად, ორგანიზმში ხდება სხვა მიკროლოზების განიშნობა, ბაქტერიებთან და ვირუსებთან ბრძოლისათვის ყველაზე ეფექტური სტრუქტურების – T-ლიმფოციტების შემცველობის დაბალანსება. სხვადასხვა სახის ლიმფოციტების ღონეების დიდი სიზუსტით გათანაბრების შემდეგ ორგანიზმს დაავადებისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია, ამავე დროს, არ დაუშვებს ჭარბი და გაუმართლებელი რეაქციის განვითარებას, როგორც ეს ალერგიის დროს ხდება. ადრე, ჩვეულების მიხედვით, ფიქრობდნენ, რომ იმუნიტეტზე ზემოქმედებისათვის აუცილებელია სამკურნალო საშუალებების მაღალი დოზები, სხვაგვარად ორგანიზმი „ვერ გაიგებს“ ან ვერ შეძლებს იმუნიტეტის მუშაობის კორექციას. მეცნიერებამ აჩვენა, რომ ეს ასე სრულიადაც არაა. წამლის უკიდურესად უმნიშვნელო კონცენტრაციასაც კი (ის, რომელიც კომპლექსურ ბიორეგულაციურ საშუალებებში გამოიყენება) შეუძლია ციტოკინების სინთეზზე ან ლიმფოციტების მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენა, განსაზღვრული (თავის მხრივ, იმუნიტეტის მუშაობის მაკონტროლებელი) ჰორმონების აქტივაცია ან დაბლოკვა. ექიმის ხელშეწყობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორად აირჩიოს საჭირო სამკურნალო პრეპარატი. სხვა დანარჩენს კი ორგანიზმი თვითონ გააკეთებს – ბუნებრივია, იმუნური სისტემის დახმარებით.

ტვინი ნაწლავში

და საჭმლის მონელების დარღვევები

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არა თავის ტვინში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევას. გამორიცხული არაა, რომ ნაწლავში სეროტონინის დეფიციტი განსაზღვრავს ღებრესიის განვითარებას. თავის ტვინში მისი უკმარისობა კი მხოლოდ შედეგი, თანმხლები ნიშანია. ამასთან, ამ ფენომენით შეიძლება აიხსნას ღებრესიის მკურნალობისათვის გამოყენებული ყველაზე გავრცელებული საშუალებების მიღებით გამოწვეული გვერდითი ეფექტი. ეგრეთ წოდებული სეროტონინის უკუმიტაცების ინჰიბიტორები (ხშირად გამოყენებული ანტიდებრესანტები) ხომ ნაწლავზე მოქმედებს, იწვევს გულისრევას და საკვების მონელების დარღვევას. ამას გარდა, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევამ აჩვენა, რომ გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის მქონე ქალებში (ვლინდება დიარეის სახით), ჩვეულებრივი სადილის მიღების შემდეგ, სხვა პაციენტებთან შედარებით, 4-ჯერ მეტი სეროტონინი აღინიშნება. ამ ნივთიერების შემცველობის მსგავსი ცვლილება კუნთების გადაჭარბებულ მოქმედებას, კუჭის სპაზმებსა და, როგორც შედეგს, დიარეას იწვევს. თუ რატომ მატულობს სწორედ სეროტონინის დონე, მეცნიერებს ჯერ არ აუხსნიათ – ჯერ მხოლოდ კვლევები და ექსპერიმენტები მიმდინარეობს.

ტვინი და იმუნიტატი

ჩვენი ორგანიზმი ბევრად უფრო რთული სისტემაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ამჟამად უკვე ცნობილია, რომ თავის ტვინისა და, საერთოდ, ნერვული სისტემის მუშაობა იმუნიტეტის მდგომარეობაზეც აისახება. ადამიანის იმუნური სისტემის 70% ნაწლავშია თავმოყრილი. ცხოველების შესწავლით ბიოლოგებმა საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს: იმუნოკომპეტენტური უჯრედები (ისინი, რომლებიც ნებისმიერი დაავადების დროს იმუნურ პასუხს უზრუნველყოფს) ნერვულ დაბოლოებებთან ურთიერთქმედებს. თავიდანვე ჩატარებული ექსპერიმენტებით მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს ურთიერთკავშირი ლიმფური ძარღვებითა და სისხლძარღვებით ხორციელდება, აღვზნებული და სტიმულირებული ნერვული უჯრედები კი იმპულსს

პირდაპირ თავის ტვინს გადასცემს. ამგვარად, თავის ტვინისა და იმუნიტეტის მჭიდრო კავშირი უკვე მიკროსკოპულ დონეზე დამტკიცებული. ეს ფაქტი უძველესი დროიდანაა ცნობილი. ხშირად გამოცდების ან რომელიმე სხვა ძლიერი გონებრივი დატვირთვისათვის დაძაბული მომზადების შემდეგ, რაც შესაძლებლობათა მაქსიმალურ დახარჯვას მოითხოვს, მწვავე რესპირაციული დაავადებების რიცხვი მატულობს. გამოდის, რომ გონებრივმა შრომამ თვითონ შეიძლება იმუნიტეტის მდგომარეობაზე იმოქმედოს. ეს კი მეცნიერების მიერ ექსპერიმენტებითაა

დადასტურებული.

მაინც როგორ მოვიხმეთ?

სიტუაციიდან გამოსავალი და ისეთი დაავადებების მკურნალობა, როგორცაა გალიზიანებული ნაწლავის ან კუჭის სინდრომი, როგორც სხეულისადმი, ასევე მისი ფსიქიკური ნაწილისადმი კომპლექსურ მიდგომაშია. მსგავსი დარღვევების მქონე პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ გამწვავების მიზეზი შესაძლოა არა მარტო არასწორი კვება, არამედ სტრესი და ჰორმონული ცვლილებებიც შეიძლება გახდეს. მშვიდი და სწორი ცხოვრების წესი, ამ შემთხვევაში, ფუჭი ლაპარაკი როდია. მხოლოდ პროფილაქტიკური ღონისძიებების დაფიქრებულ შეთანხმებას, სიმშვიდეს, კვების ნორმალიზაციას, კუჭსა და ნაწლავზე სამკურნალო ზემოქმედებას, ფსიქოთერაპიას შეუძლია ორივე – თავში მდებარე თუ ნაწლავში მიმალულ ჩვენს ტვინზე ზემოქმედება.

დახმარება ტვინისა და ნაწლავისათვის

საჭმლის მონელების სრულიად სხვადასხვა დარღვევის დროს, განსაკუთრებით, მაშინ, თუკი საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მიზეზი ფსიქიკური მოშლილობები ან სტრესია, საჭიროა კომპლექსური მიდგომა – ერთი მხრივ, კუჭისა და ნაწლავების მუშაობაზე უშუალო ზემოქმედება, მეორე მხრივ კი, ამ პროცესის ფსიქიკური ნაწილის ნორმაში დაბრუნებისათვის ზრუნვა. თანამედროვე ნატუროპათიის ჩარჩოებში ასეთი მიდგომები ერთმანეთს შესანიშნავად ერწყმის. მუცელის არეში არასასიამოვნო სიმპტომების გაქრობა და საჭმლის მონელების ნორმაში დაბრუნება შეუძლია ბიორეგულაციურ პრეპარატს Nux vomica-Homaccord-ს (საჭიროა დღეში სამჯერ 10 წვეთის მიღება). არ უნდა დაგვავიწყდეს ნაწლავის მიკროფლორა. მისი აღდგენისათვის (განსაკუთრებით, დაავადების გადატანის ან ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემდეგ) პრობიოტიკები გამოგვადგება. ისინი არა მარტო საჭმლის მონელებას უწყობს ხელს, არამედ ადამიანის იმუნურ სისტემასაც აყალიბებს, დაავადების გამომწვევი ბაქტერიების თავდასხმასაც ივერიებს.

ფსიქიკაზე ზემოქმედების, დამშვიდებისა და მოღუებისათვის ბიორეგულაციური საშუალებები გამოიყენება. მათ შორის ყველაზე უნივერსალურია Valerianaheel. ის შეიცავს არა მარტო ვალერიანას ნაყენს, არამედ მთელი რიგი სამკურნალო ბალ-

ახებისაგან შემდგარ ნამდვილ „თაიგულს“, რომელიც ჰომეოპათიური ტექნოლოგიითაა დამზადებული. თითოეული კომპონენტი ორგანიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს, ყველაფერი ერთად კი იძლევა კომპლექსური ეფექტის გარანტიას, რომელიც ძილის ნორმალიზებას განაპირობებს, გუნება-განწყობას აუმჯობესებს, ხსნის განგაშსა და შფოთვას.



მასტერ-კლასი

ფიზიოლოგიურ რეგულაციურ მედიცინაში

საქართველოს ბიოლოგიური მედიცინისა და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოების ორგანიზებით 2011 წლის 11 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცისფერ დარბაზში ფიზიოლოგიური რეგულაციური მედიცინის საერთაშორისო აკადემიის ლექტორმა, პროფესორმა ალექსანდრა ტამბოვცევამ ჩაატარა მასტერ-კლასი: „ფიზიოლოგიური რეგულაციური მედიცინა დერმატოლოგია-კოსმეტოლოგიაში“. მასტერ-კლასმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე ექიმებს შორის.

